


# ახალი განთიადი

,,შეღნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,,

..განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ..

2025 წელი 28 აპრილი №4 (8215) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com




ოფიციალური ქრონიკა

## კასპში საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა



შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ლევან ხარაბაძის ხელმძღვანელობით კასპში საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. შეხვედრას საქართველოს პარლამენტის წევრები, მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.



საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 10 000 000 ლარი გამოიყო.

გამოყოფილი თანხიდან 4 847 000 ლარი შიდა ქართლში საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე დაიხარჯება. საბჭოს სხდომაზე შეკრებილებმა აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე იმსჯელეს. კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტში - 7, ქარელის მუნიციპალიტეტში - 3, კასპის მუნიციპალიტეტში - 2 და ხაშურის მუნიციპალიტეტში - 2 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება.

## სოციალური პროგრამის ფარგლებში



კასპის მუნიციპალიტეტში აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, სოციალური პროგრამის ფარგლებში სასურსათო პაკეტები დარიგდა.

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხსა და სოფელ თელიანში კომპაქტურად ჩასახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს სასურსათო პაკეტები მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გადასცეს.

პირველადი მოხმარების 9 სახეობის საკვები პროდუქტები მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 375 იძულებით გადაადგილებულთა ოჯახმა მიიღო.



მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს ჩასახლების დღიდან, მერია ყოველ აღდგომას სასურსათო პაკეტს გადასცემს. ტრადიცია არც წელს დავარღვიეთ. მეტეხის და თელიანის კომპაქტურ ჩასახლებებს ვეწვიეთ, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მივულოცეთ და სასურსათო პაკეტები გადავეცით - აღნიშნა ვახტანგ მაისურაძემ.



სასურსათო პაკეტები მიიღეს ომის ვეტერანმა შშმ პირებმა და უკიდურესად გაჭირვებულმა მარტოხელა ბენეფიციარებმაც.

## სადაგი დღეები ჩვენს ქალაქში

## სამრევლო საკვირაო სკოლის მშენებლობა

"ახალი განთიადის" სტუმარია მამა ალექსანდრე (გუბელაძე) ქ. კასპის წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური.

მამა ალექსანდრეს საეკლესიო იერარქიული მსახურების ქრონიკა:

დაბადების წელი: 29 მაისი, 1993 წელი.

სამღვდელო კომისია გაიარა 2016 წლის 5 ივლისს (ქ. თბილისი),

დიაკვნად კურთხევა: 2016 წლის 28 აგვისტო (რკონის მონასტერი),

მღვდლად კურთხევა: 2020 წლის 12 ივლისი (ქვათახევის მონასტერი),

ოქროს ჯვრის ტარების უფლებით დაჯილდოებულია 2022 წლის 13 დეკემბერს.

განათლება: 11 კლასი - კასპის მრავალპროფილურ სკოლა-გიმნაზიაში და მე-12 კლასი კასპის №3 საჯარო სკოლაში. ასევე, ახალციხის საფარის წმ. გრიგოლ ხანძთელის სასულიერო სემინარია.

– მამა ალექსანდრე, დაგვლოცეთ.

– ღმერთმა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

– რას გვეტყვით წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძრის ეზოში მიმდინარე მშენებლობის თაობაზე?

– როგორც იცით, წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძრის ეზოში მაღალყოვლადუსამღვდელოესი გორისა და ატენის მიტროპოლიტის მეუფე ანდრიას ლოცვა-კურთხევით 2024 წელს დაიწყო სამრევლო საკვირაო სკოლის მშენებლობა. დღევანდელი მდგომარეობით კი შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ წელს უკვე დასრულდება და ამოქმედდება აღნიშნული სასწავლო დაწესებულება.

– რამ განაპირობა მისი მშენებლობა?

–2016 წელს მეუფე დამიანემ (ხუფენია) მაკურთხა დიაკვნად რკონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერში და მას შემდეგ ვმსახურობ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში. მეუფე ძალიან დიდ როლს ანიჭებდა ადამიანში საეკლესიო განათლებას, განსაკუთრებით კი ახალ თაობაში. მისი ლოცვა-კურთხევით 2016 წლიდანვე დავიწყეთ სხვადასხვა საგანმანათლებლო და სპორტულ დაწესებულებაში მისვლა და მოხსენებითი ქრისტიანული გაკვეთილების ჩატარება.

*დასასრული გვ5.*



## ოკამში საბავშვო ბაღი გაიხსნა

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამში 75 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღი გაიხსნა. საბავშვო ბაღის გახსნის ღონისძიებას კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ხარაბაძე, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საბავშვო ბაღის ახალ შენობაში მოწყობილია საძინებელი, სათამაშო, გამოსაცვლელი და ადმინისტრაციული ოთახები, ასევე, სამზარეულო, სასადილო, სამრეცხაო, ლიფტი და საევაკუაციო კიბეები.

ეზოში განთავსდა სათამაშო მოედნები და აღიჭურვა საბავშვო ატრაქციონებით. თანამედროვე სტანდარტების შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე აღსაზრდელებისთვის. პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა, რაზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1.8 მილიონი ლარი დაიხარჯა.



კასპის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში 8 საბავშვო ბაღის მშენებლობა და ერთის რეაბილიტაცია იყო დაგეგმილი. პროგრამის ფარგლებში დასრულდა თვალადის, ოკამის და ფერმა-ჩანგილარის საბავშვო ბაღების მშენებლობა, ხოლო სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ თეზის საბავშვო ბაღს.

## მშენებლობა- რეაბილიტაცია დასრულდა



კასპის მუნიციპალიტეტში ოთხი საბავშვო ბაღის მშენებლობა/რეაბილიტაცია დასრულდა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამში 75 ბავშვზე, სოფელ თვალადში 100 ბავშვზე, სოფელ ფერმა-ჩანგილარის 50 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღების მშენებლობა და სოფელ თეზის 100 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია დაასრულა. მშენებლობის პროექტები „ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში განხორციელდა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან 7.5 მილიონი ლარით დაფინანსდა. ახალ საბავშვო ბაღებში მოეწყო საძინებელი, სათამაშო, გამოსაცვლელი და ადმინისტრაციული ოთახები, სამზარეულო, სასადილო, სამრეცხაო, ლიფტი და საევაკუაციო კიბეები. ეზოებში მოეწყო რეკრეაციული სივრცეები და სათამაშო მოედნები. საბავშვო ბაღები სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.



საბავშვო ბაღების საჭირო ინვენტარით აღჭურვას კასპის მუნიცპალიტეტის მერია უზრუნველყოფს.

მუნიციპალური განვითარების ფონდი შიდა ქართლის რეგიონში, ჯამში, 28 ბაღის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროექტს ახორციელებდა, საიდანაც უკვე დასრულებულია 10 ბაღის მშენებლობა და 1 ბაღის რეაბილიტაცია.

პროექტები „ბაღების მშენებლობა რეაბილიტაციის პროგრამის" ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ 60.5 მილიონი ლარით ფინანსდება. პროგრამა მთელი ქვეყნის მასშტაბით 885 ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

## სოფელ ზემო ჩოჩეთში

კასპის მუნიციპალიტეტის მეფისქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზემო ჩოჩეთში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაო მიმდინარეობს.

პროექტი ითვალისწინებს რეზერვუარის, დრენაჟის, საქლორატოროს, სათავიდან რეზერვუარამდე მაგისტრალური მილსადენების, რეზერვუარიდან ქსელამდე მაგისტრალური მილსადენების და სათავე ნაგებობაზე სანიტარული დაცვის ღობის მოწყობას. პროექტი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და შპს "ნდს მშენებლობა" ახორციელებს.

პროექტის დასრულება უზრუნველყოფს ადგილობრივების სასმელი წყლის მიწოდების და სოციალური პირობების გაუმჯობესებას - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, რომელიც მიმდინარე სამუშაოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.





## საგზაო ინფრასტრუქტურა

ქალაქ კასპში გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

შპს "საგზაო სამშენებლო სამმართველო №1" მიკრორაიონის დასახლებაში 4 კორპუსის ეზოს კეთილმოწყობაზე მუშაობს და ასფალტ/ბეტონის საფარის პირველ ფენას აგებს.

სამუშაო პროცესი კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და მშენებელთან ერთად დაათვალიერა.

აღნიშნული კორპუსების მოუწყობელი ეზოები გადაადგილების დროს როგორც ქვეითებისთვის ასევე ტრანსპორტისთვის პრობლემური იყო.

პროექტი 16 კორპუსის ეზოს მოწყობას ითვალისწინებს, ამჯერად დარჩენილი 4 კორპუსის ეზოს ასფალტირება მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდეგ დასახლების მაცხოვრებლები მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურით ისარგებლებენ - აღნიშნა ვახტანგ მაისურაძემ.

## 36-ე წლისთავი

ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები ტრაგედიის დღეს, საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახელობის სკვერში შეხვდნენ.

შეკრებილებმა ეროვნული გმირის ბიუსტი ყვავილებით შეამკეს და სამშობლოს თავისუფლებისათვის ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს.

მამა ალექსანდრემ 9 აპრილს დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

შეკრებილებმა გაიხსენეს 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მოვლენები, რომელმაც დასაბამი მისცა საქართველოს თავისუფლებასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესს.

1989 წლის 9 აპრილიდან ზუსტად ორ წლისთავზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო.



დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ახალი განთიადი

## მთავარი საზრუნავი

# მუნიციპალიტეტის სოფლებში საბავშვო ბაღების მშენებლობებზე

დღევანდელი ჩვენი პუბლიკაცია, რასაც პერიოდულად ვახორციელებთ "ახალი განთიადის" მეშვეობით, მორიგი ანგარიშია, თუ როგორ მიმდინარეობს კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში საბავშვო ბაღების მშენებლობა. ძირითადი სათქმელი შეეხება ორი სოფლის – თვალადისა და მეტეხის ბაღების მშენებლობათა საერთო მდგომარეობას. მაგრამ, სანამ კონკრეტულ მდგომარეობას გაგაცნობთ, შეგახსენებთ ერთიან სამშენებლო პროექტს, რომელიც საქართველოში გაიშალა ორი წლის წინ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ინიციატივითა და მთავრობის მხარდაჭერით. იგი ითვალისწინებს საქართველოს მასშტაბით, არც მეტი და არც ნაკლები, 885 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აგებას. აქედან გამომდინარე დაიგეგმა კასპის მუნიციპალიტეტის რვა სოფელში ბაღების აშენება, კერძოდ: ოკამში, ლამისყანაში, ჩანგილარში, მეტეხში, ქვემო გომში, ახალქალაქში, ახალციხესა და თვალადში (ერთში – თეზში – არსებულის განახლება).

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბაღების მშენებლობა-განახლების სამუშაოები სადღეისოდ, შეიძლება ითქვას, რომ სანახევროდ შესრულებულია. ასე, მაგალითად, ახალი ბაღები საზეიმოდ გაიხსნა და უკვე ფუნქციონირებს ოკამსა და ჩანგილარში, სრულად რეაბილიტირდა თეზში. აი, თვალადში მშენებლობა დასრულებულია და მიმდინარეობს გახსნის წინამოსამზადებელი საქმიანობა – სივრცის დასუფთავება, მოზარდთა კონტინგენტისათვის განკუთვნილი ინვენტარის შეტანა-გაწყობა, აღსაზრდელთა სიის დადგენა და ა. შ.

*** კავთისხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელი თვალადი ზემომოხმობილ ჩამონათვალში ერთადერთია, სადაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება დღემდე არ არსებულა. აი, ქართული საგანმანათლებლო და სასკოლო-სასწავლო სასოფლო კერების ადგილსამყოფელად კი რაც ითვლება, უკვე ერთი საუკუნე სრულდება. საქმე ისაა, რომ თვალადში პირველი დაწყებითი სკოლა 1921-1923 წლებში გაიხსნა. ამ უკანასკნელის ისტორიულად საფეხურებრივ ცვლილებებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ უახლესი ფაქტის მოხმობით შემოვიფარგლებით: სოფელ თვალადში საჯარო სკოლის თანამედროვე, ყოველმხრივ აღჭურვილი და მშვენიერი ნაგებობა 2019 წელს ჩადგა მწყობრში.

ჰოდა, როცა დღის წესრიგში დადგა საკითხი, სად გაჭრილიყო საძირკველი სოფლის პატარებისათვის განკუთვნილი დაწესებულებისათვის, გადაწყდა: სად და, – სკოლის შენობისავე გვერდით! ჩვენ არ ვიცით, ვინ არის ის პიროვნება, ვინც ასეთი არჩევანი გააკეთა, ანდა, სად და რა დონეზე გადაწყდა სკოლა-ბაღის ერთიან სივრცეში მოაზრება, მაგრამ დღეს, როცა ცოდნის ახალი კერის მშენებლობა უკვე გასრულებულია, კედლები ნათელი საღებავის ფერებშია მოხატული, როცა ეზო-კარმიდამოზე ახალნარგაობანია ჩაყრილი, ასეთი არჩევანი გამართლებულია მრავალმხრივი – სიმბოლური, კონკრეტული თუ განზოგადებული – თვალსაზრისით.

***

ზემოთ აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი. ანუ, იგი გვევლინება ყველგან კეთილსაქმეთა დამკვეთად და სანდო, გამოცდილ, სახელმწიფო რგოლად, რომელიც მინდობილ საქმეს სიდინჯით ზომავს და არ მოჩქარეობს, რამეთუ, ანდაზისებური თქმისა არ იყოს, ასეთ დროს სიჩქარე ზიანის მქნელია...

ჩვენს თემატურ თხრობაში შემოგვიერთდება შპს "ინდუსტრიის" წარმომადგენელი კასპის მუნიციპალიტეტში ლევან დემეტრაშვილი, ვინც ზედამხედველობს ჩვენში მიმდინარე საბავშვო და სასკოლო დაწესებულებების მშენებლობას. ვინ-ვინ და ის გახლავთ ყველაზე დაინტერესებული პიროვნება, რამეთუ თითქმის ყოველდღიურად უშუალოდ ადგილებზე ეცნობა ამა თუ იმ ობიექტზე შექმნილ ვითარებას, ამოწმებს სამშენებლო პროექტით შემუშავებული ნორმებისა და პირობების რეალურად შესრულებას და მშენებლობის ხელმძღვანელებთან ერთად იღებს საჭირო გადაწყვეტილებას.

ლევან დემეტრაშვილი – შპს "ინდუსტრიის" წარმომადგენელი: – გვერწმუნეთ, მუნიციპალური განვითარების ფონდი, როგორც დამკვეთი, საქართველოს მასშტაბით მშენებარე სკოლამდელი დაწესებულებების საქმეში ფრიად დიდი გამოცდილების მქონეა. ამას, უპირველესად, ის განაპირობებს, რომ მისი მუშაკები კვალიფიციური და ძლიერი სპეციალისტები არიან, სწორედ ამგვარი საქმიანი მხარით გამოირჩევიან მისი კურატორი შიდა ქართლის ზონაში ნინო დვალი და ზედამხედველი მშენებლობის დარგში გოგა კახიძე. ისინი და მისი კოლეგები ის მუშაკები არიან, ვინც მშენებლობის პროცესში მცირე გადახრასაც კი არ დაუშვებენ და საპროექტო მონაცემების სრულად დაცვას მოითხოვენ.

სწორედ მან, ბატონმა ლევან დემეტრაშვილმა გვიმეგზურა წლევანდელ 4 აპრილს სოფელ თვალადში, რათა თვითონ კიდევ ერთხელ მოეხილა ახალდასრულებული მშენებლობა, ჩვენ კი პირველად დავრწმუნებულიყავით სოფლის სკოლამდელი აღზრდის ახალი ნაგებობის სიმშვენიერეში, გამართულობაში, კომპლექტაციაში, რათა შეგვეგრძნო ჯერაც საღებავახალშემშრალი კედლებისა და იატაკის, ჭერის, ფართო ფანჯრების ჩაკეტილ სივრცეში შეზავებული საოცარი სურნელი, ყური მიგვეგდო გაყურსულობამდე მისული სიჩუმისათვის... ჰო, სულ მალე, იქნებ მაისში რომ ახმიანდება და აჟრიამულდება, გაივსება კავთურისხეობელი ბავშვებით, საქართველოს ხვალინდელობით, მათით, ვისთვისაც განკუთვნილია ახალი ჭერქვეითი...

ზემოთ "ჩაკეტილი სივრცე" იმიტომაც ვახსენეთ, რომ ბაღის მშენებლობა სრულად დამთავრებულია და ამიტომ მისი ჭიშკარიცა და მთავარი შესასვლელიც მართლაც ჩარაზულია. მის ტერიტორიაზე ორი პიროვნება დაგვხვდა: დარაჯის როლში მყოფი მშენებელი ერიკ არუთინოვი, რომელიც წელიწადნახევარია, რაც ბაღის მშენებლობის მონაწილეა და მანამდე კი საბავშვო ბაღი სოფელ ქვემო გომშიც უშენებია, და, კიდევ, ზაზა ედიშერაშვილი, რომელიც ბაღის ტერიტორიის შემომსაზღვრელი მავთულბადის ღობის ბოლოდარჩენილ მეტრებს მწვანე ფერში ღებავდა ფუნჯით.

– ასეა, სამშენებლო ამოცანა კეთილად განასრულა ამხანაგობა "მეგა ბილდის" შრომითმა კოლექტივმა (უფროსი ვახტანგ ქოიავა), – გვაწვდის დამატებით ცნობას ლევან დემეტრაშვილი, – ახლა ჯერია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მუშაკებისა. როდის ჩაიბარებენ და გახსნიან თვალადში საბავშვო ბაღს, ეს მხოლოდ მათზეა დამოკიდებული.

ბოლოს კი მასთან ერთად ვათვალიერებთ ახალი შენობის სათავსოებს – ბავშვთა საძინებელ და გასართობსათამაშო, გამოსაცვლელ ოთახებს, სამზარეულოსა და სასადილოს, სამრეცხაოს, ეზოს ტერიტორიაზე – საბავშვო ატრაქციონებით გაწყობილ სათამაშო მოედანს, მთავარი შესასვლელის ჭიშკართან – საქვაბის დამხმარე ნაგებობას და სახანძრო რეზერვუარს...

***

... ჩვენი მანქანა კავთისხევი-მეფისქალაქის სამანქანო გზით მალე ამ ისტორიული სოფლისაკენ მიემართება. აქაც, როგორც თვალადში, საბავშვო ახალი ბაღი გათვლილია 100 მოზარდზე. ესაც მეფისქალაქი, ესაც მშენებლობის მოედანი... საქმე აქაც წინ მიდის, მშენებლები შენობის მეორე სართულის კედლებს ტიხრავენ ბლოკწყობით.

მეფისქალაქიდან გეზი მეტეხისკენ ავიღეთ.

*** მეტეხში ბაღის მსენებლობა შარშან დაიწყო, მაგრამ დროში გაიწელა და გაჭიანურდა. რატომ და ვის გამო, ახლა ამის გარკვევა არ გვიცდია. სურათი, რაც ახლა დაგვხვდა ადგილზე, თვალს ახარებს: ბლოკის კედლები ამოყავდათ კალატოზებს პროექტით გათვალისწინებული 2-სართულიანი შენობის უკვე მომთავრებულ პირველ სართულზე. ერთი ჯგუფი ნაგებობის სამხრეთ მხარეზე დასაქმებულიყო, მეორე – ჩრდილო მხარეზე.



სამუშაოთა მწარმოებლადაც ნაცადი და გამოცდილი ინჟინერ-მშენებელი წარმოგვიდგა – ტარიელ თავაძე. იგი ადრეც შეგვხვედრია, ჯერ სარკინიგზო სადგურ მეტეხის დასახლების საბავშვო ბაღის მშენებლობაზე, სხვა შემთხვევაში კი კასპში, როცა შარშან-შარშანწინ აქ კულტურის ცენტრის შენობის შიდასარემონტო და განახლების პროექტს ხელმძღვანელობდა.

ჩვენი ძველი ნაცნობი გვაუწყებს, რომ მეტეხის ბაღის მშენებლობას განაგებს შპს "სქაი + ჰაუსი" და მისი თავკაცია იოსებ მახვილაძე. ამასთან, გვამშვიდებს, – ხარაჩოებზე ისეთი ხალხი გვიყენია, მათ ნახელავს წუნი არ დაედება და აპრილში აღებულ სამუშაო რიტმს არც მომდევნო თვეებში შეანელებენო. გავიცანით ისინიც, გამრჯე და მარჯვენადალოცვილი მშენებლები:

ვაჟა ბალხამიშვილი (სხვათა შორის, ყოფილი მოჭიდავე) – ოჯახური დინასტიური პროფესიის გამგრძელებელი. მისი მამაც ხელოსნობდა და ის თუ თბილისში მუშაობდა, შვილი თავისივე სოფლის მშენებელია და ამ საქმეში თითქმის 45 წელი მოუთავებია, მეტეხის ლამის ყველა უბანშია მისი ნახელავი და გარემონტებული, სახურავდადგმული სახლი. ამჯერად გვერდში ამოუყენებია სიძე-ბატონი, საჩხერელი ხვიჩა ძინძიბაძე, რომელსაც ჯერ ხელის თითები ეყოფა მშენებლის სტაჟის წლებისათვის.

ამირან ტატანაშვილს პირადული ვერ გამოვკითხეთ, რადგანაც ის გვერდით ამოსდგომოდა ტარიელ თავაძესა და ლევან დემეტრაშვილს და საპროექტო ნახაზის ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა სამივე – სად, რა, როგორ და რატომ უკეთესი იქნებოდა...

მეტეხელი დიმიტრი კორკოტაშვილი კმაყოფილების ტონით გვეუბნება, რომ, მართალია, მისი შვილები ველარ ივლიან მამის ნაშენებ საბავშვო ბაღში (ისინი უკვე 15, 12 და 6 წლისანი არიან), მაგრამ განა, საკუთარ შვილიშვილებს არ წაადგებათ ეს ბაღი?! ჰოდა, როცა იცი, ვისთვის აშენებ, მაშინ საქმეც გეიოლება და კარგადაც გამოგდის!

ამაში მას კვერს უკრავენ თორნიკე ბეგიაშვილი და გურამ ჯალალიშვილი. ერთი ხარაჩოზე მდგარ ხელოსანს საკედლე ბლოკს უმარჯვებს, მეორე კი ურიკით ეზიდება და ორივეს უმარაგებს.

ასეა, ასე: როცა იცი, რას და ვისთვის აშენებ.

დაიბადა 1871 წლის 6 აპრილს.

# გიორგი მაზნიაშვილის ოჯახური წრე

დღეს ბევრი ახსენებს გიორგი მაზნიაშვილის სახელს, გარკვეულწილად ცნობილია მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად არის ცნობილი ის ოჯახური წრე და გარემო, რომელშიც დაიბადა და გაიზარდა ნიჭიერი მხედართმთავარი. როდესაც ვეცნობით ამ დიდი ადამიანის მეტად მწირ ბიოგრაფიულ ცნობებს, ნათელი ხდება თუ რატომ მოაღწია მისმა სახელმა დღემდე ასეთი სიამაყით, მიუხედავად იმისა, რომ გიორგი მაზნიაშვილის სახელი წლების განმავლობაში იკრძალებოდა და მისივე ოჯახშიც მასზე მხოლოდ ჩურჩულით ლაპარაკობდნენ.

გენერალი გიორგი მაზნიაშვილი დაიბადა 1871 წლის 6 აპრილს. გ. მაზნიაშვილის მამა — ივანე ალექსანდრეს ძე მაზნევი დაიბადა 1844 წლის 21 მაისს, თადარიგის პოდპორუჩიკის ალექსანდრე ვასილის ძე მაზნევის ოჯახში, რომელიც მოინათლა 30 მაისს ქ. გორის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში. მისი ნათლია იყო ქ. გორში მცხოვრები, საგუბერნიო მდივანი დიმიტრი გრიგოლის ძე სელეზნევი.

ივანე მაზნევი 8 წლის იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა. მისი მზრუნველობა კოლეგიის მდივანმა ნინო ივანეს ასულმა ბაიაკოვსკაიამ ითავა.

დედა ქრისტინე (კონა) დავითის ასული გლურჯიძე იყო სასირეთელი აზნაურის დავითის ქალიშვილი. ივანეს და ქრისტინეს შეეძინათ სამი შვილი — ალექსანდრა, გიორგი და პელაგია. საეკლესიო მეტრიკული წიგნების მიხედვით გიორგი მაზნიაშვილის და ალექსანდრა დაიბადა 1868 წლის 27 მაისს სოფელ სასირეთში, მოინათლა იმავე წლის 2 ნოემბერს, ნათლია იყო პორუჩიკი ეგორ ივანეს ძე ჯილაევი.

და — პელაგია დაიბადა 1873 წლის 17 ოქტომბერს სოფელ სასირეთში, მოინათლა იმავე წლის 28 დეკემბერს. ნათლია იყო დუშეთის მაზრის სოფელ საშაბუროს აზნაური ზურაბ შაბუროვი.

ალექსანდრასა დ პელაგიას (პოლინას) დაბადების რეგისტრაცია გატარებულია სოფელ სასირეთის წმინდა გიორგის საეკლესიო მეტრიკულ წიგნში. ორივე შემთხვევაში დაბადების რეგისტრაცია და ნათლობა მოახდინა მღვდელმა გრიგოლ ლუკიანოვმა.

მღვდელი ლუკიანოვი ცხოვრობდა სოფელ ზემო ხანდაკში, მისი ქალიშვილი რუსუდან ლუკიანოვა ცნობილი ექიმი, პედიატრი, დოცენტი და მეცნიერი იყო. დღეს ხანდაკში მისი სახლი არსებობს, სადაც მისი შვილიშვილი ექიმი მერაბი ცხოვრობს.

რაც შეეხება გიორგის დას საშას, პირველი ქორწინებიდან ჰყავდა 2 ვაჟი და ცხოვრობდა ქ. გორში. მაშინ ტრადიციის მიხედვით ბავშვები გლეხის ოჯახში იზრდებოდნენ. ავადმყოფობის გამო ორივე ვაჟი გარდაეცვალა, რის გამოც საშა ქმარს დაშორდა. საშა საცხოვრებლად გადავიდა ქ. ქუთაისში, თან სწავლობდა. იქ გაიცნო და ცოლად გაჰყვა პოლონელ გრაფს იგნაცი კაიტანოვის ძე ოსოვსკის. იგნაცი ოსოვსკი დიპლომატიური მისიით გაგზავნილი იყო პეტერბურგიდან ირანში, როგორც გრიბოედოვი, მაგრამ ქუთაისში გახდა ავად და 8 თვე მკურნალობდა. გამოჯანმრთელების შემდეგ ქუთაისის ადმინისტრაციამ იგნაცი დატოვა სამსახურში, როგორც ნიჭიერი და განათლებული ადამიანი, რომელმაც 12 ენა იცოდა და მისი წოდება იყო "სტალპავოი დვარენინი".

საშას და იგნაცის ორი ქალიშვილი ჰყავდათ — გალა და თამარი, რომლებიც სწავლობდნენ ქუთაისის გიმნაზიაში. მათთან ერთად სწავლობდა მათი ბიძაშვილი სასირეთიდან დუშიკო ფრიდონის ძე გლურჯიძე.

1906 წ. იგნაცი ოსოვსკი ფილტვების ანთებით გახდა ცუდად, მას სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა, თან გულიც აწუხებდა. მოგვიანებით კი, 1907 წელს, სამივეს — იგნაცის, გალასა და თამარს დაემართათ დიფტერია. იგნაცი და მისი უმცროსი ქალიშვილი, 11 წლის თამარი, გარდაიცვალნენ სექტემბერ-ოქტომბერში. დარჩა საშა ფეხმძიმედ და იანვარში შეეძინა ანა. უსახსროდ დარჩენილმა საშამ გაყიდა ქუთაისის სახლი და გადავიდა ქობულეთის დასასვენებელ სახლში პატარა ანათი.

გალას და თამარის ნათლია იყო კანანიცინი, რომელიც პეტერბურგში ცხოვრობდა და მსახურობდა მაღალ თანამდებობაზე მეფის კანცელარიაში.

გალა მამის გარდაცვალების შემდეგ გააგზავნეს პეტერბურგში და პატრონობდა კანანიცინი. ჰყავდა გერმანელი გუვერნიორი და გერმანულად თავისუფლად საუბრობდა. გალა ცოლად გაჰყვა რუს ოფიცერს ყარსში მიხეილ ჯაგინოვს და შეეძინათ ორი ვაჟი — ნიკოლოზი და იური. საბოლოოდ ერთმანეთს გაშორდნენ.

ანას როდესაც შეეძინა პირველი ქალიშვილი, უფროს დას გამოუგზავნა დეპეშა "დაიბადა გალია", გალიამ კი გამოუგზავნა პასუხი "გილოცავ თამარის დაბადებას".

გალა ქმრის ნათესავებთან დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მათ ერევანში ნათესავის დაკრძალვაზე გალა მიიწვიეს. იქ შეხვდა ყოფილ მეუღლეს ჯაგინოვს, რომელსაც უკვე სხვა მეუღლე ჰყავდა, ეს იყო მათი ბოლო შეხვედრა. თბილისში დაბრუნებისას კი 1965 წელს 72 წლის ასაკში გარდაიცვალა. მიხეილმა გარდაცვალების წინ კი დაიბარა, რომ დაეკრძალათ გალას გვერდით. ორივენი კუკიის სასაფლაოზე არიან დაკრძალული.



რაც შეეხება საშას უმცროს ქალიშვილს ანას, სასწავლებლად წაუყვანიათ რუსეთში. ანას გადმოცემით 1917 წლის რევოლუციის დროს სწავლობდა პრესტიჟულ სასწავლებელში, სადაც არისტოკრატთა შვილები სწავლობდნენ. შემდეგ ანამ დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი, ჩამოვიდა საქართველოში და ცოლად გაჰყვა ექიმ ფოკა გოგუას. საქართველოში მუშაობდა განათლების პროფკავშირის ფინანსური განყოფილების გამგედ. ფოკას და ანას შეეძინათ ორი ქალიშვილი. უფროსი თამარი გოგუა-ბარამიძე თბილისში თავის ორ ქალიშვილთან და შვილიშვილებთან ერთად ცხოვრობს. მეორე ქალიშვილი ლილი არის მწერალ და საზოგადო მოღვაწის თამაზ ჩხენკელის მეუღლე. ჰყავთ ორი ქალიშვილი, გვანცა და ნათია. გვანცას მეუღლე იყო შოთა ძიძიგურის ვაჟი, არქეოლოგიის დოქტორი ლაშა ძიძიგური, რომელიც ამჟამად გარდაცვლილია.

რაც შეეხება გიორგი მაზნიაშვილს, ბავშვობა გაუტარებია სოფელ სასირეთში და პირველი დაწყებითი განათლებაც დედას და დეიდებს მიუციათ. შემდეგ, როგორც სამხედრო პირის შვილი, გააგზავნეს თბილისის კადეტთა სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1888 წელს. იგი ბრწყინვალედ დაეუფლა სამხედრო საქმეს, გამოიჩინა მხედრული ნიჭი, რაც არაერთხელ საქმითაც დაადასტურა. მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივად იმყოფებოდა საქართველოს გარეთ, შესანიშნავი ქართულით მეტყველებდა და ბრწყინვალედ იცოდა საქართველოს ისტორია.

კადეტთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაანაწილეს ქალაქ არდაგანში პოდპორუჩიკის ჩინით, შემდეგ კი სამხედრო გზას აგრძელებს რუსეთში მეფის კარზე.

გიორგი მაზნიაშვილს ცოლად ჰყავდა თბილისელი სომეხი სოვდაგრის, პირველი გილდიის ვაჭრის ივანე კარაევის ქალიშვილი, სოფიო კარაევა, რომელიც თავისმა უშვილო ბიძამ, სოვდაგარმა, იშვილა და დაუტოვა თავისი მემკვიდრეობა და ბინა მერკვილაძის ქუჩაზე (ახლანდელი მაზნიაშვილის ქუჩა), რომელშიც ახლაც ცხოვრობენ გიორგი მაზნიაშვილის ქალიშვილის, ანეტას შვილიშვილები.

გიორგის და სოფიოს შეეძინათ ოთხი შვილი: ანეტა, გიორგი, ვასილი და ბორისი. ვასილი სამი წლის ასაკში გარდაიცვალა ავადმყოფობის გამო.

ანეტას პირველი ქორწინებიდან ჰყავდა ორი შვილი — იგორი და კუკა მალახოვები. იგორი ახალგაზრდა გარდაიცვალა, კუკა ცხოვრობდა შუა აზიაში. გადმოცემის მიხედვით მაზნიაშვილის ოჯახი წავიდა ქ. აშხაბადში, მიზეზი გაურკვეველია, თან წაიყვანეს მზარეული მინა კერესელიძე, თავისი ცოლით ელენე გელიტაშვილით. გიორგის დაბრუნების შემდეგ, მინა კერესელიძე თავისი ცოლშვილითა და კუკა დარჩნენ აშხაბადში, სადაც მიწისძვრის დროს მინა და მისი მეუღლე დაიღუპნენ, ხოლო მისი ქალიშვილი ლილი კერესელიძე ცხოვრობდა თბილისში.

მეორე ქორწინებიდან ანეტას ჰყავდა ორი ვაჟი — გიორგი და თეიმურაზი. მისი მეუღლე იყო სამხედრო ოფიცერი სერგო დეგელოვი, რომელიც გიორგი მაზნიაშვილთან ერთად მსახურობდა და პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა სამხედრო სასწავლებელში.

გიორგი მაზნიაშვილს და მის მეუღლეს, სოფიოს, ანეტას უფროსი ვაჟი იგორი უშვილებიათ და გვარიც მიუციათ. ანეტას დამთავრებული ჰქონდა წმინდა ნინოს სასწავლებელი და მუშაობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოლარედ. გიორგი მაზნიაშვილის დაპატიმრების შემდეგ ოჯახი მძიმე სოციალურ-მორალურ და მატერიალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ანეტა და სერგო გაშორდნენ ერთმანეთს, რათა სერგოს, როგორც სამხედრო პირს და მაზნიაშვილის სიძეს, პრობლემები არ შექმნოდა და თავის უფროს შვილთან, გიორგისთან ერთად დედასთან ეკატერინე დეგელიძესთან გადავიდა საცხოვრებლად ლუნაჩარსკის ქუჩაზე, ოპერის გვერდით. მასთან ერთად გადავიდა კუკაც, ხოლო თეიმურაზი დარჩა დედასთან. სერგო დეგელიძე გაიწვიეს დიდ სამამულო ომში, როგორც ოფიცერი 1941 წელს და 1942 წელს დაიღუპა ქერჩში.

1937 წლის 5 მაისს გიორგი მაზნიაშვილი დააპატიმრეს სოფელ სასირეთში, იმავე დღეს თბილისში დააპატიმრეს მისი ვაჟი, 35 წლის ივანე. გიორგი დეგელიძის გადმოცემის მიხედვით, როდესაც ჩეკისტები შევიდნენ მერკვილაძის ქუჩაზე მაზნიაშვილის ბინაში, ივანეს უთხრეს, რომ მივიდნენ მის დასაპატიმრებლად, ივანე უცებ ქაღალდივით გათეთრდა, მაგრამ თავს მოერია, სარკესთან მივიდა, თმები გადაივარცხნა, ჰალსტუხი გაისწორა და ჩაბარდა. ამ დროს გიორგი მაზნიაშვილის უმცროსი ვაჟი ბორისი ეზოში შემოვიდა, მეეზოვემ უთხრა, — თქვენს სახლში ჩეკისტები არიან, არ შეხვიდე, თორემ შენც დაგიჭერენო. შეშინებული ბორისი უკან გამობრუნდა, სირბილით მივიდა მატარებლის სადგურში და პირველივე დაძრულ მატარებელს გაჰყვა, რომელმაც ბაქოში ჩაიყვანა. პირველი მეუღლე ჰყავდა სომეხი ქალი და ამ ქორწინებიდან შეეძინა ვაჟი გიორგი მაზნიაშვილი, დაიბადა. 1935 წელს და გარდაიცვალა 2011 წლის თებერვალში, გიორგის ჰყავს ორი ქალიშვილი, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ.

1941-45 წ. ბორის მაზნიაშვილი გაიწვიეს ფრონტზე და მსახურობდა ტანკისტად. დაიჭრა და ომიდან დაბრუნდა მე-2 ჯგუფის ინვალიდი.

1970 წელს ბორისი თბილისში დაბრუნდა, ცოლად შეირთო რუსი ქალი ალექსანდრა, რომელთანაც შვილი არ ჰყავდა.

*** 1976 წელს სასირეთის სკოლაში მოწვეული იყო პოეტი იოსებ ნონეშვილი, რომელსაც თან ახლდა მწერალი ელიზბარ მაისურაძე და ბორის მაზნიაშვილი. ბორისმა მაშინ თხოვნით მიმართა რაიონის ხელმძღვანელობას და ადგილობრივ საბჭოს, რათა დახმარებოდნენ დაებრუნებინათ მამაპაპეული სახლი, მაგრამ უარი უთხრეს. მანამდე კი ბორისმა თხოვნა გაუგზავნა მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, სადაც ითხოვდა მამისა და ძმის რე

*დასასრული იხ. გვ -8.*

# სამრევლო საკვირაო სკოლის მშენებლობა

*დასასრული. დასაწყისი გვ-1.*

მეუფის კურთხევითვე ვიყენებდით ყველა შანსს ბავშვებთან და მოზრდილებთან შესახვედრად. ერთ წელიწადში კი, 2017 წელს, უკვე შედგა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელთაც გაკვეთილს ვუტარებდით ხსენებული ტაძრის ეზოში მდებარე შენობაში, რომელიც ზომით ძალიან პატარაა. იყო შემთხვევები, როდესაც ერთი კონკრეტული კლასის ბავშვები საჯარო სკოლებიდან შეთანხმებულად ერთად მოსულან გაკვეთილზე, ასეთ შემთხვევაში ბავშვების მოთავსება აღნიშნულ ოთახში ძალიან გვიჭირდა. სწორედ ამისგან იყო განპირობებული უფრო დიდი სივრცის არსებობა.

– როდის გახდა მისი არსებობის აუცილებლობა?

– 2017 წლიდან დღემდე ვახტანგ გორგასლის ტაძარში, მცირე ჩავარდნებს თუ არ ჩავთვლით, ფუნქციონირებს სამრევლო სკოლა. იქიდან გამომდინარე, რომ ეკლესიასთან არსებულ მცირე ზომის ოთახში, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, ველარ შევძელით დატევა მოსული ადამიანებისა და, ასევე, არ გვქონდა ინვენტარი სრულფასოვანი გაკვეთილის ჩატარებისა (პროექტორი, კომპიუტერი, მერხები და ა. შ.), რამდენიმე თვის მანძილზე მოგვიწია ადგილის შეცვლა და აღნიშნულ გაკვეთილებს ვატარებდით კასპის ზრდასრულთა განათლების ცენტრში. (აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი ცენტრის დირექტორს სალომე მუხიგულაშვილს). დამეთანხმებით, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილს, თუ სად მდებარეობს ესა თუ ის დაწესებულება და განსაკუთრებით სამრევლო სკოლა, რა თქმა უნდა ქრისტეზე საუბარი, მისივე სახლის ტერიტორიაზე, ეკლესიის გალავანში, ბევრად მეტის მომცემია ადამიანებისათვის, ამიტომ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გახდა აუცილებელი უშუალოდ ეკლესიის კედლებში მოზრდილი სივრცისა, შენობა-ნაგებობისა, სადაც უფრო მეტი საშუალება იქნებოდა, როგორც გაკვეთილის, ასევე სხვა აქტივობების ჩატარებისა (როგორიცაა, მაგალითად, ხატწერა, გალობა, ხუცური შესწავლა ან სხვ.).



– ვისი თანადგომითა და საქმიანი ჩართულობით მიმდინარეობს სკოლის მშენებლობა?

– წინამძღვარი ჩვენი ტაძრისა გახლავთ მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა). როგორც მოგეხსენებათ, მეუფე დამიანეს გარდაცვალების შემდეგ მან ჩაიბარა ჩვენი ეპარქია. მეუფე ანდრიას ყოველი მობრძანებისას ვსაუბრობდით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მეუფე მუდმივად აღნიშნავდა და აღნიშნავს როლს სამრევლო საკვირაო სკოლის არსებობისა სამრევლო ტაძრებში. სწორედ მისი კეთილი ნებითა და ლოცვა-კურთხევით და მისი უშუალო ჩართულობით დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს სამრევლო საკვირაო სკოლის მშენებლობა.

– როგორ წარმოგიდგენიათ ახლო მომავალში კასპის სამრევლო საკვირაო სკოლის ფუნქციონირება? რა სახით წარიმართება სკოლაში საგანმანათლებლო ვრცელი პროცესი?

– ვფიქრობთ, ახლო მომავალში დასრულდება შენობის მოწყობა და დაიწყებს ფუნქციონირებას. რა სახით წარიმართება სწავლის პროცესი, დღეს რთული სათქმელია, რადგან მსგავსი სასწავლო დაწესებულება ჩვენს ეპარქიაში პირველია. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ მეუფე ანდრიას აქვს ძალიან დიდი გამოცდილება სასწავლო დაწესებულებების კეთილად ფუნქციონირებისა. უფლის ნებით, მის ლოცვა-კურთხევაზე და ამ უდიდეს გამოცდილებაზე დაყრდნობით, აბსოლუტურად ყველაფერი გაკეთდება მომავალი თაობის სწორად აღზრდისა და განვითარებისათვის (ხოლო იესომ თქვა: "აცადეთ ბავშვებს და ნუ უშლით ჩემთან მოსვლას, ვინაიდან მაგისთანებისაა ცათა სასუფეველი"), ასევე, მრევლის სწორად ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. რაც შეეხება ჩართულობას საგანმანათლებლო საქმიანობაში, აუცილებლად იქნებიან მოწვეული და ჩართული ისეთი სასულიერო პირები და პიროვნებები, რომელთაც საზოგადოება უკვე ძალიან კარგად იცნობს და მათი მიდგომები ბავშვებთან და ზრდასრულებთან გამოცდილია და უდიდეს შედეგს იძლევა.

# ”ჰოი, დედანო ...”

კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლში (მენეჯერი ლ. პეტრიაშვილი) ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეებმა მოაწყვეს ღონისძიება „ჰოი დედანო, მარად ნეტარნო!, რომელიც მიეძღვნა მე-19 საუკუნის საზოგადო მოღვაწე ქალთა: მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის, ეკატერინე გაბაშვილისა და მარო თარხნიშვილის ხსოვნას.

ჩვენი ერის თვალსაჩინო მანდილოსნების შესახებ მოსწავლეებმა (ლ. ხუციშვილი, ბ. ჩარაევი, ნ. ნონიაშვილი) მოიძიეს მასალები, დაწერეს თემები სამშობლოს წინაშე მათ მიერ გაწეული ღვაწლის შესახებ და მომზადებულნი წარსდგნენ მსმენელის წინაშე.

პირველი ლოტბარი ქალის-მარო თარხნიშვილის შესახებ თემა წაიკითხა ნატალი ნონიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ მ. თარხნიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ქართლ-კახური სიმღერების დაცვასა და გავრცელებაში. ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობასაც. იგი პედაგოგად იყო მიწვეული თბილისის მეორე კონსერვატორიაში.

ლოტბარმა ქალმა დასთან, ეკატერინესთან ერთად ჩამოაყალიბა ხალხური სიმღერების არაერთი გუნდი, მათ შორის 1910 წელს ქ. გორში, 1950-იან წლებში კი კასპში. გუნდის რეპერტუარი ძირითადად ქართლური სიმღერებისგან შედგებოდა. თარხნიშვილები ხშირად საქველმოქმედო კონცერტებსაც მართავდნენ. ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად გუნდმა 11 კონცერტი ჩაატარა. 1956 წელს მ. თარხნიშვილს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა.

„კავთისხეველი ბულბული”, ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი მ. თარხნიშვილი გარდაიცვალა 1969 წლის 3 ოქტომბერს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

საკაძის შთამომავლის, საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ეკატერინე თარხნიშვილი-გაბაშვილის შესახებ თემა „ბედნიერი მანდილოსანი” დამსწრე საზოგადოებას გააცნო ბარბარე ჩარაევმა. მან კითხვა პეტრე უმიკაშვილის სიტყვებით დაიწყო, საიდანაც ჩანს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ქალს, როგორც მწერალს.„ ქალის ხმა, ქალი მწერალი, რა დიდი რამ არის საქართველოსთვის... პეტრეს სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა დაულოცნია მისთვის და უთქვამს: „დედაკაცის მწერლობა ფრიად სასახელო და საამაყო იქნება ქართველებისთვისო.

ე. გაბაშვილი სამშობლოს სასახელოდ იღვწოდა და აქტიურად მონაწილეობდა ყოველგვარ საქმიანობაში. იგი არჩეული იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” გამგეობის წევრად. დიდი როლი ითამაშა საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის” დაარსებაში. თავისი წვლილი შეიტანა ქართული თეატრის განვითარების საქმეში. დაწერა პიესები: „სურათი ყმაწვილი ქალის ცხოვრებიდან” და „ბედი მუხთალი”. მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის” ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში, თავის სახლში გახსნა ქალთა სკოლა-სამკერვალო, რომელმაც 25 წელი იარსება. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველი სკოლა გორში, გამოსცა საბავშვო მოთხრობების კრებული. კიტა აბაშიძე წერდა: „ვისაც კი შეეხო მისი კეთილმოსურნე ხელი, ყველა გააადამიანა, ყველას ღვთაებრივი სული შთაბერა”.

სახელწოდება „ბედნიერი მანდილოსანი” 1911 წელს მიენიჭა, როდესაც ქართველმა ხალხმა ზეიმით გადაიხადა მისი 40 წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილე. უკრაინაში მყოფმა ქართველებმა მას ბარათი გამოუგზავნეს ტექსტით „სალამი შენდა ქართული ლიტერატურის ღირსეულო მსახურო, სალამი შენდა ჭაღარით მოსილო ივერიის ასულო”.

ღვაწლმოსილი ქალბატონი ე. გაბაშვილი გარდაიცვალა 1938 წლის 7 აგვისტოს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მეფე ერეკლე მეორის ქალიშვილის-თეკლე ბატონიშვილის უმცროსი ვაჟის-ვახტანგ ორბელიანის ასულის მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის შესახებ ისაუბრა ლიზი ხუციშვილმა. მან აღნიშნა, რომ მარიამს ბევრი სასიკეთო საქმე ჰქონდა გაკეთებული ქართველი ერისათვის. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანმა ლამისყანელ მემამულე ალექსანდრე ორბელიანზე იქორწინა. მიუხედავად წოდებრივი სხვაობისა, ჯამბაკურ-ორბელიანები უანგაროდ ეხმარებოდნენ სოფლის მოსახლეობას.

მარიამმა თავისი სახსრებით დააარსა დაწყებითი სკოლა ლამისყანასა და ატენში. 1879 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” დაარსებისთანავე მარიამი მისი ნამდვილი და დამფუძნებელი წევრი გახდა, იგი იყო ქართული სათავადაზნაურო სკოლის სამზრუნველო კომიტეტის წევრი. 35 წლის მანძილზე იგი ამ კომიტეტს თავმჯდომარეობდა.

ორბელიანები ივანე ჯავახიშვილის თანამდგომნი იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. უნივერსიტეტის შენობის გეგმა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანმა შვეიცარიიდან ჩამოიტანა.

მოღვაწე ქალი 1880 წელს აირჩიეს სამუსიკო სასწავლებლის კომიტეტში, 1886 წელს ჩამოყალიბებულ „მასწავლებელ ქალთა საზოგადოებას” მარიამი 33 წელი პატრონობდა.

სიცოცხლის ბოლო წლებში მარიამ ორბელიანი მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა. იგი ფრანგული ენის კერძო მასწავლებელი იყო. ორბელიანებს არაერთი სტიპენდიანტი ჰყავდათ ქართულ ვაჟთა სკოლაში, რუსეთისა თუ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში. მათ ლამისყანაში საკუთარი ხარჯით გაიყვანეს სასმელი წყალი, მკურნალობდნენ ავადმყოფ გლეხებს, მათ თვითონ მოჰყავდათ ექიმი ლამისყანელებისათვის. სოფელი დიდად ემადლიერებოდა და ამბობდნენ: „ის სულგანათლებული ორბელიანები ბატონები კი არა, სოფლის პატრონები იყვნენო”.

მარიამი გარდაიცვალა 1941 წლის 8 აგვისტოს. მისი სურვილი იყო დაკრძალულიყო სიონის ტაძარში, საგვარეულო აკლდამაში, მამა-პაპათა გვერდით, მაგრამ იმდროინდელმა ხელისუფლებამ ნება არ დართო მის ახლობლებს და დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

შეხვედრაზე ღვაწლმოსილი ქალბატონებისადმი მიძღვნილი ლექსები მხატვრულად წაიკითხეს მოსწავლეებმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური მამა ალექსანდრე (გუბელაძე), ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის მენეჯერი სოფიო ცუცუნაშვილი-ფავლენიშვილი, ამავე მუზეუმის ექსკურსიამძღოლი ვერიკო ზარიძე, პედაგოგები და მშობლები. დამსწრე საზოგადოებამ დადებითად შეაფასა მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი თემები.

მოსწავლეთა სახლის მენეჯერმა ლელა პეტრიაშვილმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისათვის, წრის ხელმძღვანელს - ნანა მერებაშვილსა და მოსწავლეებს საინტერესო თემების დამუშავებისა და წარდგენისათვის.

**კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.**

*,,ახალი განთიადი,, ეძებს საინტერესო სურათებს რაიონის საგაზეთო ფოტო-მატიანის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დატოვეთ თქვენი კვალი ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ საინტერესო ფოტოები!*

## სპორტ INFO

# თბილისის „გრანდ სლემის" პრიზიორი

ჭიდაობა ძიუდო: ქ. თბილისში 21-23 მარტს გამართულ "თბილისის გრანდსლემზე" საქართველოს ნაკრები სოლიდური შემადგენლობით იყო წარმოდგენილი. მასპინძელი ქვეყნისათვის გამოყოფილი კვოტის თანახმად, მწვრთნელებმა 4-4 მოჭიდავე გამოიყვანეს ყველა წონით კატეგორიაში. მათგან ორი იყო ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი – ჯაბა პაპინაშვილი და ირაკლი დემეტრაშვილი. პირველი ყველაზე მსუბუქთა წონაში (60 კგ.) გამოდიოდა, მეორე კი მძიმეწონოსანთა (+100 კგ.) შორის. ამდენად, შეიძლება ითქვას, ერთმა თავისი გამოსვლით გახსნა "თბილისი - არენაზე" (ეს გახლავთ დედაქალაქის სპორტის ახალი სასახლე საბურთალოზე) გაშლილ ტატამზე მოწყობილი საერთაშორისო მასშტაბის პრესტიჟული დონის ტურნირი, მეორემ კი დახურა. მათგან წარმატებული ჩვენებური "დევი" გამოდგა. ირაკლი




დემეტრაშვილმა მკერდი ბრინჯაოს მედლით დაიმშვენა. მისთვის ეს პირველი წარმატებაა "თბილისის გრანდსლემზე".

# საქართველოს ჩემპიონი

კასპელი ჭაბუკი სანდრო ახლოური საქართველოს 2025 წლის პირველობის ჩემპიონია! საქებარი სიტყვა მის შესახებ აქამდეც არაერთხელ გვითქვამს. სასიამოვნოა, რომ სანდროს სპორტული გზა კვლავაც აღმავალია. იგი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია 81-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. ამჯერად მისი მეტოქეები იყვნენ გორელი ილია ყველაშვილი და ზურაბ ჭიღლაძე, წყალტუბოელი მათე გველესიანი. სხვათა შორის, ამ წონაში საპატიო კვარცხლბეკზე სწორედ ეს კვარტეტი იდგა, რამეთუ დანარჩენებს ესენი დაემჯობინნენ. დავიმახსოვროთ ჩვენი ჩემპიონისა და მისი მეტოქე-მეგობრების სახელები! სწორედ ისინი არიან ქართული ძიუდოს ხვალ-



ინდელი დღე. ეს წონა კი აქამდეც და ახლაც ერთ-ერთი საკვანძოა ეროვნულ ნაკრებში, თანაც, წარმატებული, სადაც მუდამ დიდი კონკურენციაა. მეტადრე მაშინ, როცა "ლოს-ანჯელესი – 2028"-ის ოლიმპიადა ჩვენი ნაკრების მწვრთნელთა და სპეციალისტთა ახლო მომავლის სამიზნეა.

# ელგუჯა (გუჯა) გეჯაძის ხსოვნა

კასპის სპორტკომპლექსის მრავალპროფილურ დარბაზში 17 აპრილს ჩატარდა მოჭიდავისა და მწვრთნელის, გულისხმიერი სამეურნეო ხელმძღვანელის ელგუჯა (გუჯა) გეჯაძის (1957 – 2016) ხსოვნისადმი მიძღვნილი მუნიციპალური ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში 2010-2011 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის.



ტრადიციულ ტურნირს ესწრებოდნენ მისი ოჯახის ახლობლები, დიდი სამეგობრო წრის წარმომადგენლები, ვეტერანი მოჭიდავეები – მსოფლიოს ჩემპიონები, საქართველოს აბსოლუტური ფალავნები და პრიზიორები, კასპის მუნიციპალიტეტის მერიისა და სპორტგაერთიანების ხელმძღვანელები, საზოგადოების წარმომადგენლები.

მემორიალური ტურნირი მუსიკალურად გაახმოვანა მუსიკოს-შემსრულებელთა დასტამ: მედოლე – ჯემალ ბერიანიძე (თელიანი), მეზურნეები – ჯემალ ყეინაშვილი (დოესი) და ავთო ბიჭიკაშვილი (ხოვლე).

მსაჯთა ბრიგადა: კახა ხუბაშვილი, გიორგი ბერიძე, დავით გეჯაძე, შოთა ბექიტაშვილი, ვასილ ქრივიშვილი, შამილ ჯანგიშერაშვილი, ბერდია ნატროშვილი, შმაგი დგალიშვილი, ვასილ გვიმრაძე.

ჩემპიონ-პრიზიორები გამოვლინდნენ 10 წონით კატეგორიაში. გაგაცნობთ გამარჯვებულთა ვინაობას: 30 კგ. – ერეკლე მეცხვარიშვილი (ხოვლე), 35 – დათა ნადირაშვილი (კასპი), 40 – ამირან მჭედლიშვილი (ლამისყანა), 45 – გიორგი მანჯავიძე (ქვემო გომი), 50 – დათა მანელიძე (დოესი), 55 – ერეკლე მჭედელაძე (კასპი), 60 – ლუკა ხოდელი (აღაიანი), 66 – ბადრი ბაზანდარაშვილი (დოესი), 73 – გუგა იაძე (მეტეხი) და +73 კგ. – გიორგი წერუაშვილი (დოესი).



# ქალაქ ბრემენში უკვე მეორედ




გერმანიის ქ. ბრემენში ამა წლის 22-23 მარტს გაიმართა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი.

უკვე 40 წელია, იგი ყოველი მარტის მესამე შაბათ-კვირას ეწყობა. ორგანიზატორია ადგილობრივი ძიუდოს კლუბი "ბრემენელი ოსტატები" (პრეზიდენტი – ბატონი ნორბერტ სპეკერი).

ტურნირში ქართული დროშით ჩართული გუნდის მონაწილეობას ორგანიზებას უწევს კასპელი კაცი – შალვა მერებაშვილი, რომელიც ამჟამად ჩრდილოეთ გერმანიის მხარის ქართველთა სათვისტომოს ხელმძღვანელია.

გერმანულ ისტორიულ ქალაქში საასპარეზოდ მსოფლიოს 20-მდე ქვეყნიდან 800-ზე მეტი მოჭიდავე იკრიბება ხოლმე. ისინი თავიანთი ქვეყნების ნაკრებებს წარმოადგენენ.

მათ გვერდით საქართველოდან კასპის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული ნაკრები გუნდის მონაწილეობა დიდი გამოწვევაა.

აი, წელსაც ჩვენმა ბიჭებმა ძიუდოს წამყვანი ქვეყნების ძლიერი ნაკრებების წევრთა წინააღმდეგ ვერაფერი გააწყეს და უმედლებოდ დაგვირჩნენ. ჯილდოთა უმეტესობა ბრაზილიელებმა და იაპონელებმა იწილადეს. წარმოიდგინეთ, აზერბაიჯანელებიც კი უმედლოდ დარჩნენ...

აი, ისინი, ბრემენმოვლილი ჩვენი ჭაბუკი ძიუდოისტები: სოსო ბეგლარაშვილი, ლუკა გულდედავა, გიორგი მანჯავიძე, ლუკა მღებრიშვილი, ერეკლე მჭედელაძე, დავით ნინიკაშვილი, გოგა ჭიხინაშვილი და ალეკო ხიზანბარელი.

ბრემენში კასპის ნაკრებს ახლდნენ გაერთიანების დირექციიდან – შოთა გოგიაშვილი და სოსო მამულაშვილი, ხოლო ჯგუფს ხელმძღვანელობდა კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზურაბ კოპაძე.



# „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა„

პროექტის "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა"-ს ფარგლებში, ბოულინგის ადაპტირებულ დარბაზში ბოულინგის ინტეგრირებული ჩემპიონატი - 2025 გაიმართა.

ჩემპიონატში ტურნირის მხარდამჭერები: ქუთაისის, გორის, კასპისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიები. პროექტის პარტნიორები: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური.



აფხაზეთის ომის გმირის თემო სახოკიას სახელობის გარდამავალი თასი გათამაშდა.

ტურნირში მონაწილეობა მიიღეს სამშვიდობო მისიებსა და სხვადასხვა საომარ მოქმედებაში დაჭრილმა სამხედრო მოსამსახურეებმა, ომის ვეტერანებმა, ონკოსაზოგადოების წარმომადგენლებმა, პარასპორტსმენებმა, შშმ ქალებმა და მამაკაცებმა.

ტურნირში, რომელსაც თემო სახოკიას ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ - პირველად კასპის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. გამარჯვებულებს დიპლომები და მედლები გადაეცათ, ხოლო პირველ ადგილოსნებს - ერთი წლით თემო სახოკიას სახელობის გარდამავალი თასი.

პროექტი ხელს უწყობს გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის 30-ე მუხლის იმპლემენტაციას და მისი აღსრულების ხელშეწყობით შშმ პირთა საზოგადოებაში თანაბარ - უფლებრივი მდგომარეობის დამკვიდრებას.

# საბრძოლო ხელოვნების კლუბი „კასპი„



კასპის მუნიციპალიტეტის საბრძოლო ხელოვნების კლუბ "კასპი"-ს პრეზიდენტს ალექსანდრე მანძულაშვილს საჩუქრად ტატამი და სპორტული ინვენტარი გადაეცა.

საჩუქრები საქართველოს ტაეკვონდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, თეიმურაზ მღებრიშვილმა და კასპის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ მაისურაძემ გადასცეს.

საჩუქრების გადაცემას ესწრებოდა საქართველოში კუკივონის წარმომადგენელი დუხვი ლი.

ვახტანგ მაისურაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა მადლობა გადაუხადეს საქართველოს ტაეკვონდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს თეიმურაზ მღებრიშვილს რეგიონებში ტაეკვონდოს განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის.

# სოფელ თელიანში

სოფელ თელიანში შიდა ცენტრალურ გზაზე დასრულდა ასფალტ/ბეტონის საფარის დაგების სამუშაო.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა, რომელიც შპს "გრანდ როუდ გრუპი" -ს მიერ განხორციელდა.

სამუშაო მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ მერის პირველ მოადგილესთან დავით ქისიშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა. კეთილმოწყობილმა საგზაო ინფრასტრუქტურამ ადგილობრივების კომფორტული გადაადგილება უზრუნველყო.

როგორც ყოველთვის, 2025 წელს კასპის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა ამჯერადაც პრიორიტეტია - აღნიშნა ვახტანგ მაისურაძემ.



გამოიწერეთ "ახალი განთიადი"! გახდით ჩვენი მკითხველი!



# სოფელ ლამისყანაში

კასპის მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის თანაბრად ხელმისაწვდომობის მიზნით, სპორტული პროექტების განხორციელება გრძელდება.

ამ ეტაპზე ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაო სოფელ ლამისყანაში მიმდინარეობს.

სამუშაო პროცესს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნენ.

თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ მოედანზე განთავსდება ფეხბურთის კარი, კალათბურთის ფარები და მოეწყობა გარეგანათება.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, რომელსაც ინდმეწარმე ვახტანგ კუჭაშვილი ახორციელებს.



# სოფელ ხოვლეში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეს მკვიდრი - ძიუდოში ვეტერანებს შორის მსოფლიო ჩემპიონი, საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი უშანგი ყურაშვილი აგრძელებს ქველმოქმედებას. კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და უშანგი ყურაშვილთან ერთად კასპის საფეხბურთო სკოლას ესტუმრა.

ქველმოქმედმა სკოლის წარმატებულ ბავშვებს საჩუქრად ფეხბურთის ბუცები გადასცა. ვახტანგ მაისურაძემ, სკოლის მენეჯერმა და მწვრთნელებმა უშანგი ყურაშვილს მადლობა გადაუხადეს უანგარო, მუდმივი ქველმოქმედების და ბავშვებში მოტივაციის ამაღლებისათვის.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სიახლე ჩვენი ქალაქის სავაჭრო-მომსახურების ქსელში

# მოდის მაისი, დგება ლუდისმოყვარულთა სეზონი



ნათქვამია, — გემოვნებაზე არ დაობენო! ეს ითქმის სასმელების შესახებაც. მავანი ღვინოს ამჯობინებს, ვინ არაყსა და ვისკის, ზოგს კი ლუდი მიაჩნია საუკეთესო სასმელად და თავის არჩევანსაც მასზე აჩერებს. აი, შინაურული წესით გამოხდილ ლუდს, აბა, რომელი შეედრება, თუნდაც უცხოური წარმოებისა. მოდის მაისი და დგება ლუდის სმა-დაგემოვნების სეზონი. ქაფქაფა და ცივი ლუდი — სიცხეში! როგორია?!

ჩვენი ქალაქის სავაჭრო მომსახურების სფეროში ბოლო ათწლეულში სოკოსავით მომრავლდა ნაირგვარი მიმართულებისა და პროფილის ობიექტები — მარკეტები თუ ერთიანი ქსელები, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: "ორი ნაბიჯი", "კალათა", "მაგნიტი", "გვირილა", "ზღაპარი", "ლიბრე"... ისინი, თითქმის ყველა, გვთავაზობს სასმელების, მათ შორის, ლუდის ფართო არჩევანს. მაგრამ, შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ კასპის სინამდვილეში მოქმედებს სპეციალიზებული მაღაზია ლუდის ქსელისა "ბიარჯორჯია". იგი სამიოდე წლის წინ გაიხსნა და სამომხმარებლო წრესა და საქმიან ახალგაზრდობაში სულ უფრო პოპულარული ხდება.

***

"ახალი განთიადის" დღევანდელი ნომრის სტუმარია კასპის ლუდის მაღაზიათა ქსელი "ბიარ-ჯორჯიას" მენეჯერი გიორგი ნიპარიშვილი — ჩვენებური საქმიანი ახალგაზრდა, ვინც ნაბიჯი აუწყო თანამედროვე ტექნოლოგიურ სიახლეთა მოთხოვნებს ...

გიორგი ნიპარიშვილი: "ბიარჯორჯიას" კასპის მაღაზია შიდა ქართლის მასშტაბით პირველია. ის გაიხსნა 2022 წლის ივნისში. დიახ, მალე 3 წელი გახდება. ქალაქის ამგვარი პროფილის სიახლემ გაამართლა. განსაკუთრებით მოსწონთ საქმიან ახალგაზრდებს, ვინც ზოგადად გარკვეულია ლუდის ავ-კარგიანობაში, ხარისხიანობის ნიუანსებში და დასვენებისა და განტვირთვის თავისებურ საშუალებად მიუჩნევიათ, როცა სამუშაო დროის ბოლოს მეგობრულ წრეში შეიკრიბებიან...

უშუალოდ "ბიარ ჯორჯიას" ისტორიას რაც შეეხება: იგი დაარსდა 2003 წელს და, იმ დროიდან მოყოლებული, მომხმარებელს სთავაზობს პრემიალური ხარისხის ლუდებს, პირდაპირ მწარმოებელი ქვეყნებიდან.

კომპანია პირველ ეტაპზე ლუდის ასორტიმენტს აწვდიდა კვების ობიექტებს, თუმცა, სტრუქტურულ ზრდასთან ერთად, დადგა საჭიროება საქართველოში ლუდის სპეციალიზებული მაღაზიის გახსნისა. ასეთი მაღაზია 2008 წელს ქ. თბილისში გაიხსნა (საბურთალოს ქუჩაზე), ხოლო ამჟამად მთელი ქვეყნის მასშტაბით ფლობს 31 ფილიალს და მოიცავს ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონს.

ახლა, სულ მალე, ორიოდე თვეში კიდევ 2 ფილიალი შემოგვემატება.

ლუდის მაღაზია "ბიარ ჯორჯია" კასპში გახლავთ სრულფასოვანი ფილიალი. აქ წარმოდგენილია კომპანიის ქსელში არსებული ლუდის სრული ასორტიმენტი, სასმისები, ხორცპროდუქტი და ლუდზე მისაყოლებელთა ფართო არჩევანი. კომპანიამ შარშანდლიდან დაიწყო ლუდის სხვა აქსესუარების შეთავაზებაც, როგორიცაა: კეპები, ბოთლის გასახსნელები, ბრელოკები, თემატური ბანერები და სხვადასხვა სუვენირი.

ვფიქრობთ, ეს ყველაფერი ლუდის მოყვარულებს უდაოდ დააინტერესებს.

ჩვენი კომპანია არა მარტო ცნობადი გახდა, არამედ ფართოვდება კიდეც — მისი ახალი ფილიალი გავხსენით ქ. გორშიც, ანუ, შიდა ქართლის მხარის მასშტაბით უკვე მეორეა.

ქსელში დასაქმებულთა თაობაზე მოგახსენებთ: ბიარჯორჯიელი პერსონები მხოლოდ ახალგაზრდები არიან. ისინი სრულად ფლობენ ინფორმაციას შიდა ქსელის პროდუქციის შესახებ და, შესაბამისად, ცნობადობის ამაღლების მიზნით მომხმარებელს უზიარებენ აუცილებელ თემატიკას, რაც მეორე მხარისათვის იდეალური საშუალებაა, მიაგნოს და ისარგებლოს მის გემოვნებაზე მორგებული პროდუქციის სახეობით.

სიტყვა რადგან პროდუქციის ნაირსახეობაზე ჩამოვარდა, აქვე დავაკონკრეტებთ: ქსელში შემოტანილია 150 სახეობისა და 22-ზე მეტი ბრენდი შემდეგი ქვეყნებიდან: გერმანია, ჩეხეთი, ბელგია, ინგლისი, ირლანდია, ავსტრია, ესპანეთი, იტალია, მექსიკა, იაპონია. და, რა თქმა უნდა, ქართული.

ახლა სწორედ ამ უკანასკნელის თაობაზე: ჩვენებური ბრენდი "ლაზიკა" ქსელში წარმოდგენილია 2 სახეობით. ეს — ჯერჯერობით, რადგანაც კომპანია "ბიარ-ჯორჯია" ამჟამად აშენებს ლუდსახარშ წარმოებას, სადაც მხოლოდ პირველ ეტაპზე მოიხარშება 3 სახეობის ლუდი და ეს იქნება ბრენდირებული "რკონი".

ჩვენი მაღაზია ფლობს ე. წ. "ჰასპის" სტანდარტს. ბატონებო, ესაა სურსათის უვნებლობის სტანდარტი და ნიშნავს იმას, რომ ჩვენთან დანერგილია სანიტარულ-ჰიგიენური პრაქტიკა. სტანდარტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის აღსრულებისათვის ყოველ 15 დღეში ერთხელ ლუდის



ცისტერნები ირეცხება შესაბამისი ხსნარებით.

დასაქმებული კადრის პროფესიული ზრდისა და დაოსტატება-განვითარების თვალსაზრისით კომპანია ატარებს სწავლებას ზოგადი მენეჯმენტის, კლიენტთა მომსახურების, ფინანსებისა და ამ ბიზნესთან მონათესავე სხვა თემების შესახებ.

თქვენს ყურადღებას მივაქცევთ ერთ არსებით გარემოებას: კასპის სპორტკომპლექსის ობიექტებთან მაღაზიის ლოკაციურმა სიახლოვემ განაპირობა ის, ახლებური მიდგომა გამოგვენახა: ჩვენ მხარდამჭერი და მეოხი გავხდით ადგილობრივი სპორტისა, მხარს ვუჭერთ სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებს. აი, მაგალითები: მთელი 2023 საფეხბურთო სეზონის განმავლობაში გვერდში ვედექით კასპის საფეხბურთო გუნდს და ყოველი მატჩის საუკეთესო მოთამაშეს გადავცემდით სპეციალურ საჩუქარს. სხვათა შორის, ეს სწორედ იმნაირი თასებია, რომელიც ხშირად ფიგურირებს ქ. მიუნჰენის "ბაიერნის" თამაშებზე, გუნდის გამარჯვებათა აღსანიშნავად.

კიდევ ერთი ნიშანდობლივი კონკრეტული ფაქტის თაობაზე: 2024 წლის ევროპული საფეხბურთო ჩემპიონატის მიმდინარეობისას, როცა საქართველოს ნაკრების თამაში დიდი ღია ეკრანის მეშვეობით გადმოიცემოდა კასპის ცენტრში, საშუალება მოგვეცა, ჩვენების ადგილზე შეკრებილი გულშემატკივრისათვის შეგვეთავაზებინა სხვადასხვა ლუდი, რისთვისაც ახლაც გვსურს, გულითადი მადლობა მოვახსენოთ, ასეთი ნაბიჯის გადმოდგმისათვის, კასპის მუნიციპალიტეტის მერსა და მის მთელ გუნდს. აქვე დავამატებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე კომპანიამ გაათამაშა 4 ბილეთი საქართველო-ჩეხეთის ნაკრებების მატჩზე და სრულად უზრუნველყო მათი ბედნიერი მფლობელების სამგზავრო და საბინაო ხარჯები. ბილეთების გარდა სხვა სახის პრიზებიც გათამაშდა.

ჩვენთვის უპირველესია მომხმარებლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინება. ამიტომ აქ მოსულ კლიენტს დახლზე ხვდება საინფორმაციო კოდი, რომლის მობილურ ტელეფონში დასკანერებით შეიძლება კონკრეტული სახეობის ლუდის ისტორიის, წარმომავლობისა და სხვა დამახასიათებელი ტრადიციული ნიუანსების გაცნობა.

საინტერესოა ასეთი დეტალიც: ჩვენთან წარმოდგენილია იმპორტირებული ნაირგვარი სასმისები, რომლებიც თავსებადია შემოტანილი ლუდის ასორტიმენტთან. რას ნიშნავს ეს? — ყოველი სახეობის ლუდს გააჩნია შესაბამისი სახეობის ჭიქა, რომელიც განაპირობებს ლუდში არსებული არომატების შეგრძნებასა და გემურ თვისებებს, ანუ, დაგემოვნების ხარისხს. ასეთი სასმისები კი თითქმის 200-მდეა.

ცხადია, ჩვენი პუბლიკაციის მავან მკითხველს გაუჩნდება კითხვა: — რამდენად ხელსაყრელი და მოხერხებულია ფასები ადგილობრივი მომხმარებლისათვის?

შეგვიძლია შეუფარავად ვთქვათ, რომ სტანდარტული ფასებია გერმანულ და ჩეხურ ლუდებზე და იწყება 3 (სამი) ლარიდან. აი, აქციის პერიოდში კი შესაბამისი უცხოური ლუდები გაცილებით იაფდება.

... ასე, რომ: არჩევანი თქვენზეა, მომსახურება — ჩვენზე!

დაიბადა 1871 წლის 6 აპრილს.

# გიორგი მაზნიაშვილის ოჯახური წრე

*(დასასრული. დასაწყ. იხ. გვ-4.)*

აბილიტაციას, მაგრამ მაშინაც უარი მიიღო.

1937 წ. 9 სექტემბერს გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, ხოლო 11 ოქტომბერს მისი ვაჟი ივანე დახვრიტეს. წლების განმავლობაში ოჯახმა არ იცოდა მათი სიკვდილის ამბავი. 1939 წელს სოფიო კარაევა სტალინს და ბერიას უგზავნის წერილს, სადაც წერს, რომ ორი წლის წინ, 5 მაისს დაპატიმრებული მისი მეუღლის გიორგი მაზნიაშვილის ამბავი ოჯახისთვის უცნობია, წერს გიორგი მაზნიაშვილის დამსახურებას სამშობლოს წინაშე და ითხოვს გაარკვიონ რა ბედი ეწია მის მეუღლეს, გადაასახლეს თუ პატიმრობა მიუსაჯეს. მას ვერც კი წარმოედგინა, რომ გიორგი მაზნიაშვილს დახვრეტის განაჩენს გამოუტანდნენ.

*ოლია მაისურაძე.*

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76